სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

27/09/2024

MES 8 24 0001227041

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა იმ პირებისათვის, რომლებმაც 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში წარმატებით დაძლიეს 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და იმ მობილობის მსურველებისათვის, რომლებმაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის N1.1/103 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (27/09/2024წ. N1220887) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობა, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის იმ პირებისათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და იმ მობილობის მსურველებისათვის,

რომლებმაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება ამავე დაწესებულებაში;

2. შპს-დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის რიგგარეშე მობილობის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა) რიგგარეშე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის უნივერსიტეტში განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით;
ბ) ფაკულტეტის მიერ რიგგარეშე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 4 ოქტომბერი;
გ) დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს რიგგარეშე მობილობის შედეგების შესახებ ბრძანების პროექტი წარმოადგინოს 2024 წლის 7 ოქტომბერს;

3. ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
8. დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა